საქართველოს კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის სამინისტრო

სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი

ბრძანება

29 12 2021 წ. №273 ქ. თბილისი

სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტის განვითარების დაფინანსების კონკურსზე (კონკურსი №2/9) შემოტანილ პროექტთა განმხილველი საექსპერტო კომისიის შექმნის თაობაზე

„ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ" 2000 წლის 5 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის, სსიპ - „საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვული ცენტრის" საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს №3/255 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „საექსპერტო კომისიის დამტკიცებამდე კომისიის წევრობის კანდიდატებზე წერილობითი დასაბუთების მომზადების შესახებ" სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვული ცენტრის 2014 წლის 16 ივლისის №170 ბრძანების შესაბამისად ვბრძანებ:

1.2021 წლის 29 დეკემბერს შეიქმნას 2021 წლის 29 ოქტომბრის №195 ბრძანებით გამოცხადებული სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტის განვითარების დაფინანსების კონკურსზე (კონკურსი №2/9) შემოტანილ პროექტთა განმხილველი საექსპერტო კომისია 5 (ხუთი) წევრის შემადგენლობით:

1. ირაკლი ფანიაშვილი (რეჟისორი);
2. იამზე ვეკუა (კინომცოდნე);
3. ირაკლი სოლომანაშვილი (სცენარისტი);
4. გიორგი ოვაშვილი (რეჟისორი);
5. ლადო ჩიხრაძე (პროდიუსერი);

2.გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულებები საექსპერტო კომისიის წევრებთან და შრომითი ხელშეკრულებით განისაზღვროს კომისიის წევრთა შრომის ანაზღაურება და ხელშეკრულების ვადა.

3.წინამდებარე ბრძანებას თან დაერთოს კომისიის წევრებად მოწვევის თაობაზე წერილობითი დასაბუთება და კომისიის წევრების CV.

4. დაევალოს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვული ცენტრის IT სპეციალისტს დავით ყურაშიძეს წინამდებარე ბრძანებია კინოცენტრის ვებ-გვერდზე განთავსება.

5. ბრძანება ძალაში შევიდეს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

დირექტორი

გაგა ჩხეიძე

წერილობითი დასაბუთება ირაკლი ფანიაშვილის კომისიის

წევრად მოწვევის თაობაზე

საექსპერტო კომისიის წევრის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის, ირაკლი ფანიაშვილის პერსონალურ მონაცემების გაცნობის შემდეგ მის მიერ წარმოდგენილი CV-სა და სხვა წყაროების საფუძველზე, მივიჩნევ, რომ ირაკლი ფანიაშვილის განათლება, სამუშაო გამოცდილება და კვალიფიკაცია იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.

1991 წელს ირაკლი ფანიაშვილმა დაამთავრა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი, 1998 წელს – კინორეჟისურის უმაღლესი კურსები (ალექსანდრე რეხვიაშვილის სახელოსნო).

2000 – 2006 წწ. ი. ფანიაშვილი იყო ფოტოგრაფიის და ახალი მედიების კავკასიის ინსტიტუტის დირექტორი, 2000 – 2006 წწ. თბილისის კულტურის განვითარების კავკასიური ცენტრის თავმჯდომარის მოადგილე, 2007 წლიდადან ასოციაცია "ველი" – აუდიო-ვიზუალური ხელოვნების განვითარების სტუდიის გამგეობის თავმჯდომარე.

1998 წელს ირაკლი ფანიაშვილმა გადაიღო დოკუმენტური ფილმი „ხმა (იგი იყო ფილმის რეჟისორი, სცენარისტი და პროდიუსერი), რომელიც 1998 წელს მონაწილეობდა ლაიფციგის დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე, ხოლო 2000 წელს უნგრეთში გამართულ ვიზუალური ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე.

2009 წელს ფანიაშვილმა გადაიღო მოკლემეტრაჟIანი მხატვრული ფილმი „სერგო გოთორანი" (იგი იყო ფილმის რეჟისორი, სცენარისტი და პროდიუსერი). ფილმი 2009 წელს მონაწილეობდა თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე, 2010 წელს – ნიდერლანდებში გამართულ საერთაშორისო კინოფესტივალზე, ვოლოგდას საერთასორიშო კინოფესტივალზე, ანტალიის 47-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე.

კინოს სფეროში ი. ფანიაშვილის დიდი და მრავალფეროვანი სამუშაო გამოცდილების, პროფესიონალიზმისა და კარგი მხატვრული გემოვნების გათვალისწინებით, შეირჩეს იგი საექსპერტო კომისიის წევრად.

CV ირაკლი (ერეკლე) ფანიაშვილი

საკონტაქტო რეკვიზიტები
თ. ჭოველიძის ქ. №13
380008 თბილისი
მობილური: 595417333
ელ-ფოსტა:
irakli40@gmail.com

პერსონალური ინფორმაცია
ეროვნება: ქართველი
დაბადების თარიღი: 19 მარტი, 1968, თბილისი

განათლება

1996 – 1998 კინო-რეჟისორის უმაღლესი კურსები, ალექსანდრე რეხვიაშვილის სახელოსნო, თბილისის ტელევიზიის და რადიოს ინსტიტუტი

1985 – 1991 სამსახიობო ფაკულტეტი, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი

სამუშაო გამოცდილება

2007-დან ასოციაცია "ველი" – აუდიო-ვიზუალური ხელოვნების განვითარების სტუდია
თანამდებობა: გამგეობის თავმჯდომარე

2000 - 2006 cccd -კულტურის განვითარების კავკასიური ცენტრი, თბილისი
თანამდებობა: თავმჯდომარის მოადგილე

2000 - 2006 ფოტოგრაფიის და ახალი მედიების კავკასიის ინსტიტუტი, თბილისი
თანამდებობა: დირექტორი

ფილმები

2009 **"სერგო გოთორანი / სერგო გოთვერანი" / "Sergo the Rogue"**
მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, 48წ.
სცენარის ავტორი, პროდიუსერი და რეჟისორი

1998 **"ხმა" / "VOICE"** დოკუმენტური ფილმი, 48წ.
სცენარის ავტორი, პროდიუსერი და რეჟისორი

ფესტივალები

"სერგო გოთორანი / სერგო გოთვერანი"

2010 The 47th International Antalya Golden Orange Film Festival, Turkey

2010 VOICES Film Festival - Vologda Independent Cinema from European Screens, Russia

2010 The Cinema-at-Sea Festival, SatellietGroep, Netherlands

2009 10th Tbilisi International Film Festival, Georgia

	"ხმა"
2000	MEDIAWAVE 2000 Another Connection – International Festival of Visual Arts, Gyor, Hungary
1998	DOC LEIPZIG – International Leipzig Festival for Documentary and Animated films

წერილობითი დასაბუთება ირაკლი სოლომანაშვილის კომისიის წევრად მოწვევის თაობაზე

საექსპერტო კომისიის წევრის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის, ირაკლი სოლომანაშვილის პერსონალურ მონაცემების გაცნობის შემდეგ მის მიერ წარმოდგენილი CV-ს და ინტერნეტ სივრცეში მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, მივიჩნევ, რომ ირაკლი სოლომანაშვილის განათლება, სამუშაო გამოცდილება და კვალიფიკაცია იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი ზემოთ მითითებული კონკურსის საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.

ირაკლი სილომანაშვილს უმაღლესი განათლება მიღებული აქვს შოთა რუსთაველის სახელობის თეტრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის დრამატურგის ხელოვნების ფაკულტეტზე, იგი 1994 წლიდან დღემდე მუშაობს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის პრომოუშენისა და ანონსების განყოფილების სცენარისტად.

ირაკლი სოლომონაშვილის კალამს ეკუთვნის 20-მდე წარმატებული მხატვრული და დოკუმენტური ფილმის სცენარი, რომელთა დიდ ნაწილს მიღებული აქვთ პრესტიჟული ადგილობრივი და საერთაშორისო ჯილდოები. 2011 წლიდან ირაკლი სოლომანაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კინო-ტელე ფაკულტეტის მიწვეული პედაგოგია.

ირაკლი სოლომანაშვილს როგორც გამოცდილ, წარმატებულ და ნიჭიერი სცენარისტს, ვიწვევ საექსპერტო კომისიის წევრად.

CURRICULUM VITAE

სახელი:	ირაკლი სოლომანაშვილი
მისამართი	თბილისი, ნუცუბიძის I მ/რ კორპ.11 , ბინა 17
მობილური:	(**995) (99) 711 810
E-mail: ***iraklisolo@gmail.com***	
დაბადების თარიღი:	27 მაისი 1971

განათლება

1987-1991	იაკობ ნიკოლაძის სახ. სამხატვრო სასწავლებელი, ქანდაკების ფაკულტეტი.
1991-1996	თბილისის რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტი, დრამატურგის ხელოვნების ფაკულტეტი. თამაზჭილაძისსახელოსნო.

სცენარის ავტორი მხატვრული ფილმებისათვის:

1993	***დაბადების დღე*** – (35მმ. 15წთ.) რეჟისორი ვახტანგ ვარაზი
1996	***ოცნებების სასაფლაო*** (სრულმეტრაჟიანი) რეჟისორი გიორგი ხაინდრავა.
1996	***სისხლიანი სცენარი*** (35მმ. 15წთ. მხატვრული) რეჟისორი ბესო სოლომანაშვილი.
1996-2004	***თბილისი – სტამბული*** (სრულ მეტრაჟიანი) რეჟისორი ლევან ზაქარეიშვილი. (სცენარის თანაავტორი ჯ.აქიმიძე, ლ.ზაქარეიშვილი)
2003	***მოგზაურობა ყარაბახში*** - (სრულმეტრაჟიანი) აკა მორჩილაძის რომანის მიხედვით. რეჟისორი ლევან თუთბერიძე.
2005.2006	**კომენდანტის საათი** – (მოკლემეტრაჟიანი მხატვრული) რეჟისორი და სცენარის თანაავტორი ლ.ადამია.

2008 **კონფლიქტის ზონა** – (სრულმეტრაჟიანი). რეჟისორი ვანო ბურდული.

2010 **ოცნების ქალაქი** – (სრულმეტრაჟიანი)
რეჟისორი დავით იმედაშვილი

2012 **ბოლო გასეირნება** – (სრულმეტრაჟიანი)
რეჟისორი ზაზა ურუშაძე

სცენარის ავტორი დოკუმენტური ფილმებისათვის:

2000 **სნაიპერი** – (სრულმეტრაჟიანი)

2000 ***ბავშვები გისოსებს მიღმა*** (*Kids Behind Bars*) (დოკუმენტური)
BBC და Discovery–ს დაკვეთით

1999-2000 ***კრიმინალური დეტექტივი***– სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების ციკლი. რეჟისორი ლევან ადამია.

2002 სოციალური რგოლების სცენარები სერიიდან – ***იცოდე კანონი და იქნები დაცული.*** (თანაავტორი ჯ.აქიმიძე) რეჟისორი ვახტანგ ვარაზი

2004 ***საქართველო და ევროპა*** – სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების ციკლი. რეჟისორი ლევან ადამია.

2005 ***ქართული უნივერსიტეტი.*** – სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების ციკლი. რეჟისორი ლევან ადამია.

2005 ***ნაციონალური უმცრესობები.*** – *სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების ციკლი* . რეჟისორი ლევან ადამია.

სამუშაო გამოცდილება:

1994 წლიდან დღემდე მუშაობს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის პრომოუშენისა და ანონსების განყოფილების სცენარისტად.

2011 წლიდან მიწვეული პედაგოგი ი.ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის კინო-ტელე ფაკულტეტის კათედრაზე.

წერილობითი დასაბუთება გიორგი ოვაშვილის კომისიის

წევრად მოწვევის თაობაზე

საექსპერტო კომისიის წევრის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის, გიორგი ოვაშვილის პერსონალურ მონაცემების წარმოდგენილი CV-სა და ინტერნეტში მოპოვებული წყაროების საფუძველზე მივიჩნევ, რომ გიორგი ოვაშვილის განათლება, სამუშაო გამოცდილება და კვალიფიკაცია იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი ზემოთ მითითებული საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.

გიორგი ოვაშვილმა 1996 წელს დაამთავრა საქართველოს თეატრისა და კინოს კინოსარეჟისორო ფაკულტეტი, ხოლო 2006 წელს – ნიუ-იორკის კინოაკადემიის რეჟისურის კურსი.

გიორგი ოვაშვილი არის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქართველი კინორეჟისორი მსოფლიოს მასშტაბით. მის ყოველ ფილმს მოპოვებული აქვს საყოველთაო საერთაშორისო აღიარება და მრავალი პრესტიჟული ჯილდო: 2004 წელს გადაღებული ფილმისთვის „ზღვის დონიდან" რეჟისორს მიღებული აქვს ნიუ-იორკის კინოაკადემიის პრიზი, ჟიურის სპეციალური პრიზი ოდენსეს საერთაშორისო ფესტივალზე და სხვ.

ფილმმა „გაღმა ნაპირი" მოიპოვა ფრიბურგის საერთაშორისო კინოფესტივალის გრან-პრი, ნორვეგიის მშვიდობის პრიზი, გიბარას კინოფესტივალის გრა-ნპრი და სხვ. 2014 წელს გ. ოვაშვილის ფილმმა „სიმინდის კუნძული" კარლოვი-ვარის კინოფესტივალის გრან პრი „ბროილს გლობუსი" აიღო, ფილმს კრიტიკოსების დიდი გამოხმაურება მოყვა. მოგვიანებით კი თავად რეჟისორი კინოფესტივალის ჟიურის წევრად მიიწვიეს. სან-მარინოს კინოფესტივალზე ფილმმა მთავარი პრიზი დაიმსახურა საუკეთესო რეჟისურისთვის.

დიდი საერთაშორისო წარმატება და მრავალი პრესტიჟული ჯილდო აქვს მოპოვებული გ. ოვაშვილის ფილმს ბოლო ფილმს „ხიბულა".

რეჟისორ გიორგი ოვაშვილს საფრანგეთის კულტურის მინისტრის ოდრე აზულეს გადაწყვეტილებით, საფრანგეთისა და მსოფლიოს კულტურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ხელოვნებისა და ლიტერატურის ორდენის კავალერის წოდება მიენიჭა.

გიორგი ოვაშვილს, როგორც სახელოვან და წარმატებულ რეჟისორს, კინოხელოვნების ღრმა ცოდნისა და ფილმების შეფასების გამოცდილების გათვალისწინებით, ვიწვევ საექსპერტო კომისიის წევრად.

შპს ვაგონეტი
Wagonnet Films

ბიოფილმოგრაფია

გიორგი ოვაშვილი

კინო-რეჟისორი, სცენარისტი და პროდიუსერი - გიორგი ოვაშვილი ფართო საზოგადოებამ სადებიუტო ნამუშევრებითვე გაიცნო. მისი სადიპლომო ფილმი - ***ვაგონეტი*** (1997) და მოკლემეტრაჟიანი ფილმი ***მზერის დონეზე*** (2005) წარმატებული აღმოჩნდა საერთაშორისო ასპარეზზე.

ოვაშვილის პირველი სრულმეტრაჟიანი ნამუშევრის, ***გაღმა ნაპირი*** -ს პრემიერა ბერლინის კინო-ფესტივალზე შედგა. კინო-სურათს 50-ზე მეტი საერთაშორისო ჯილდო აქვს მოპოვებული.

მეორე მხატვრული ფილმი, ***სიმინდის კუნძული*** (2014) წელს კარლოვი ვარის საერთაშორისო კინო-ფესტივალის გრან-პრის - ოქროს გლობუსის მფლობელი გახდა, მომდევნო წელს კი, ოსკარის უცხოენოვანი ფილმების კატეგორიის შორტლისტში მოხვდა.

პროექტ ***ხიბულა*** -ს განხორციელება გიორგი ოვაშვილმა თითქმის ათი წლის წინ დაიწყო, თუმცა უამრავი დაბრკოლების გამო, ფილმის გადაღება მხოლოდ 2017 წელს მოახერხა. ***ხიბულა*** -ს პრემიერა ამავე წლის ივლისში კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა.

ამჟამად, როგორც რეჟისორი, სცენარისტი და პროდიუსერი, იგი მუშაობს თავის მეოთხე და მეხუთე სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმებზე ***მშვენიერი ელენე*** და ***მთვარე მამაა ჩემი.***

გიორგი ოვაშვილი კომპანია ***ვაგონეტი ფილმი*** -ს თანადამფუძნებელია.

შპს ვაგონეტი

ახმეტელის 10ა, თბილისი

+995599406725 **www.wagonnetfilms.com** **10 A Akhmeteli str. Tbilisi** **info@wagonnetfilms.com**

წერილობითი დასაბუთება იამზე ვეკუას კომისიის წევრად მოწვევის თაობაზე

საექსპერტო კომისიის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის, იამზე ვეკუას პერსონალური მონაცემების გაცნობის შემდეგ, მის მიერ წარმოდგენილი CV-ის საფუძველზე მივიჩნევ, რომ იამზე ვეკუას განათლება, კვალიფიკაცია და საქმიანი თვისებები იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.

1996 წლიდან დღემდე იამზე ვეკუა მუშაობდა სხვადასხვა მედია საშუალებებში, როგორც კინოჟურნალისტი, მათ შორის იყო ყოველდღიური გაზეთის „24 საათი' ჟურნალ „Focus"-ის, ონლაინ გადაცენა AT.gr –ის, ონლაინ-გადაცემა „თორმეტი" და სხვ. კინომიმომხილველი.

იამზე ვეკუას, როგორც ნიჭიერ და გამოცდილ ახალგაზრდა კინოკრიტიკოსს, ვიწვევ საექსპერტო კომისიის წევრად.

იამზე ვეკუა

28.02.1976

მის: ჭ. ლომთათიძის №31

mail: iavekuapr@gmail.com

მობ: + (995 99) 51 67 07

სამუშაო გამოცდილება

- ონლაინგამოცემა AT.ge — 2020-2021
  კინომიმომხილველი
- „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქი“ — 2020-დღემდე
  პიარმენეჯერი
- ონლაინგამოცემა „თორმეტი“ — 2019
  კინომიმომხილველი
- თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება — 2018-2020
  პიარმენეჯერი
- თბილისის კულტურული გზამკვლევი Tbilisi Out — 2012-2014
  ჟურნალისტი, კინომიმომხილველი
- ჟურნალი Focus — 2009–2013
  ჟურნალისტი, კინომიმომხილველი
- ჟურნალი „მუდმივი კავშირის სამყარო“ — 2007-2014
  ჟურნალისტი
- თეატრი „ნაბადი“ — 2005-2006
  პიარმენეჯერი
- ჟურნალი „ამარტა“ — 2004-2012
  ჟურნალისტი
- ყოველდღიური გაზეთი „24 საათი“ — 2004-2015
  ჟურნალისტი, კინომიმომხილველი
- ყოველდღიური გაზეთი „მთავარი გაზეთი“ — 2001-2004
  ჟურნალისტი
- ყოველკვირეული გაზეთი „ახალი 7 დღე“ — 1998-2001
  ჟურნალისტი
- სატელევიზიო გადაცემა 50/50 პირველი არხი — 1996-1997
  ჟურნალისტი

წერილობითი დასაბუთება ლადო ჩიხრაძის კომისიის წევრად მოწვევის თაობაზე

საექსპერტო კომისიის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის, ლადო ჩიხრაძის პერსონალური მონაცემების გაცნობის შემდეგ, მის მიერ წარმოდგენილი ბიოფილმოგრაფიის საფუძველზე მივიჩნევ, რომ ლადო ჩიხრაძის განათლება და კვალიფიკაცია იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.

ლადო ჩიხრაძემ 2013 წელს დაამთავრა კავკასიის ბიზნეს სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი, 2016 წელს – ვიტენ/ჰერდეკეს საერთაშორისო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა, ხოლო 2019 წელს – იგი მონაწილეობდა სარაევოს საერთაშორისო ლინოფესტივალის ტალანტების სექციაში.

2013 წლიდან დღემდე, ლადო ჩიხრაძე იყო არაერთი წარმატებული ფილმის პროდიუსერის ასისტენტი, პროდიუსერი ან წარმოების მენეჯერი, მათ შორის; „მზის გოგოები", „პრეზიდენტი", „დინოლა", „მძევლები" 2018 წელს ლადო ჩიხრაძემ მოიპოვა ტალინის შავი ღამის კოპროდუქციის ბაზრის ჯილდო, როგორც იმედისმომცემმა პროდიუსერმა.

ლადო ჩიხრაძეს, როგორც ნიჭიერ, განათლებულ, წარმატებულ და პერსპექტიულ ახალგაზრდა კინოპროდიუსერს, ვიწვევ საექსპერტო კომისიის წევრად.

დირექტორი გაგა ჩხეიძე

ბიოფილმოგრაფია

ვლადიმერ ჩიხრაძე

პროდიუსერი

განათლება

2019 სარაევოს საერთაშორისო ლინოფესტივალის ტალანტების სექცია, 2016 ვიტენ/ჰერდეკეს საერთაშორისო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა, 2013 კავკასიის ბიზნეს სკოლა, ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტი, 2013 მინი ეავე თბილისი, 2006 ESM-სკოლა ლიცეუმი.

ფილმოგრაფია

2019 ლაინ პროდიუსერი UnTrue- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი რეჟ. სიგრიდ ანდრე ბერნანდო. 2018 ლაინ პროდიუსერი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „როგორ გავყიდოთ ომი“ რეჟ. რუდოლფ ჰერცოგი. 2017 ლაინ პროდიუსერი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მზის გოგოები“ რეჟ ევა ჰიუსონი. 2017 ლაინ პროდიუსერი სერიალი „ვიპი“ HBO, 2016 წარმოების მენეჯერი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „საშიში დედა“ რეჟ. ანა ურუშაძე, 2015 ფინანსური მენეჯერი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მძევლები“ რეჟ. რეზო გიგინეიშვილი. 2014 ბუღალტერი/პროდიუსერის ასისტენტი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „პრეზიდენტი“ რეჟ მოხსენ მაკმალბაფი. 2013 ბუღალტერი/პროდიუსერის ასისტენტი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ეპიკი“ რეჟ ბენ ჰოპკინსი. 2013 ლაინ პროდიუსერი მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დინოლა“ რეჟ მარიამ ხაჭვანი. 2013 ლაინ პროდიუსერი მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დეტონატორი“ რეჟ ბესო სოლომანაშვილი, 2013 ლაინ პროდიუსერი მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ბებო“ რეჟ სანდრო ქათამაშვილი

ჯილდო

2018 ტალინის შავი ღამის კოპროდუქციის ბაზრის ჯილდო იმედისმომცემი პროდიუსერისთვის პროექტი „ქორწილი ჩემს ქუჩაზე“.